# ხელშეკრულება № 8

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ზესტაფონი 20/04/2018წელი

ერთის მხრივ, სსიპ ფუთის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ციური ჩიხლაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს -„ოპტიმალი"(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ღვინიაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საჯარო სკოლისათვის კომპიუტერის აქსესუარების და შეძენა მომსახურება

1.2. cpv კოდი:- 30200000

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს -206(ორას ექვსი ლარი, 00თეთრი) ლარს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. შესყიდვის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მომსახურების შესყიდვას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 20აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით. ქ. ზესტაფონი.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების

დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31დეკემბრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

| მიმწოდებელი | შემსყიდველი |
|---|---|
| შპს- ,,ოპტიმალი" | სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფუთის საჯარო სკოლა |
| მისამართი: ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ130 | მისამართი: ზესტაფონი–სოფელ ფუთი |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 430024582 | ტელეფონი: (577672045) |
| საბანკო რეკვიზიტები: | საიდენტიფიკაციო კოდი: №230078215 |
| ბანკი: ლიბერთი ბანკი | საბანკო რეკვიზიტები: |
| საბანკო კოდი: LBRTGE22 | საბანკო კოდი: LBRTGE22 |
| ანგარიშსწორების ანგარიში: GE41LB0113128350143000 | ანგარიშსწორების ანგარიში: №GE41LB0121138233201000 |
| ხელმძღვანელი: გელა ღვინიაშვილი | დირექტორი: ციური ჩიხლაძე |

მიღება– ჩაბარების აქტი#

ქ. ზესტაფონი , ფუთი 20/04/2018წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, — ერთის მხრივ სსიპ. ფუთის საჯარო სკოლის წარმომადგენლის ციური ჩიხლაძის სახით, ხოლო მეორე მხრივ შპს-,,ოპტიმალი"მისი წარმომადგენლის გელა ღვინიაშვილის სახით ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2018 წლის 20 აპრილს გაფორმებული #8 -ე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელმა ჩავაბარე, ხოლო შემსყიდველმა მივიღე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, რომლის ღირებულება შეადგენს 206 (ორას ექვსი ლარი, 00 თეთრი) ლარს.

დამკვეთი:

სსიპ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის

ფუთის საჯარო სკოლა

დირექტორი:

ციური ჩიხლაძე

მომწოდებელი:

შპს ,,ოპტიმალი"

ხელმძღვანელი:

გელა ღვინიაშვილი

## ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. ზესტაფონი, ფუთი 20 04 2018 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ კომპიუტერის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სსიპ -ფუთის საჯარო სკოლის მიერ, ბაზრის კვლევის შედეგად შერჩეულ მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი: /ქეთევან მერებაშვილი/

სკოლის დირექტორი /ციური ჩიხლაძე/

## საგადასახადო დავალება №41

20 აპრილი 2018 წელი

გადამხდელის დასახელება: ს.ს.ი.პ.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.ფუთის საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 230078215 GE41LB0121138233201000

გადამხდელის ბანკი: ზესტაფონის ლიბერთი ბანკი LBRTGE22

მიმღების დასახელება: შპს- ,,ოპტიმალი „

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი GE41LB0113128350143000

მიმღების ბანკი: ს.ს. ,, ლიბერთი ბანკი „ ბანკის კოდი LBRTGE22

საიდენტიფიკაციო კოდი 430024582

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი:

გადასახადის დანიშნულება: კომპიუტერული მომსახურების ღირებულება

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

თანხა

101 –00ლარი–

თანხა სიტყვებით: ას ერთი ლარი 00თეთრი.

ბანკის აღნიშვნები:

შესრულების თარიღი: 20-04-2018

ბანკში შემოსვლის თარიღი: 20-04-2018

## საგადასახადო დავალება №35

11 აპრილი 2018 წელი

გადამხდელის დასახელება: ს.ს.ი.პ.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.ფუთის საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 230078215 GE41LB0121138233201000

გადამხდელის ბანკი: ზესტაფონის ლიბერთი ბანკი LBRTGE22

მიმღების დასახელება: შპს- ,,ოპტიმალი „

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი GE41LB0113128350143000

მიმღების ბანკი: ს.ს. ,, ლიბერთი ბანკი „ ბანკის კოდი LBRTGE22

საიდენტიფიკაციო კოდი 430024582

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი:

გადასახადის დანიშნულება: სკოლისათვის კარტრიჯების და UPS–ის შეძენის ღირებულება

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

თანხა

105 –00ლარი–

თანხა სიტყვებით: ას ხუთი ლარი 00თეთრი.

ბანკის აღნიშვნები:

შესრულების თარიღი: 12.04.2018

ბანკში შემოსვლის თარიღი: 12.04.2018